# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 391

„30“ ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სპორტული ცენტრის „მუხიანი“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 64- ე მუხლის „ა“ პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ პირველი წიგნი, პირველი კარის II თავისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს №34.22.997 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპლექსური სპორტული ცენტრის „მუხიანი“ ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი